



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 49/ს
31/01/2023

49-21-4-202301311001



**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაბუმეში საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის მიერ მდ. ხობისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების
განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაბუმეში მდ. ხობისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაბუმეში მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე. ავარიული უბნის მიმდებარედ მოწყობილია წყალმომარაგების სათავე ნაგებობების ჭები. წყალმომარაგების სათავე ნაგებობების წყალდიდობისგან დასაცავად საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია გაბიონის კედელი. ამჟამინდელი მდგომარეობით არსებული კედლის შუა ნაწილი დანგრეულია და დანგრეული გაბიონის კედლის ფარგლებში განვითარებულია ნაპირის გვერდითი ეროზიული პროცესი. ეროზიული პროცესები აგრეთვე განვითარებულია არსებული გაბიონის კედლის ქვედა ბიეფშიც, წყალმომარაგების სათავე ნაგებობების განთავსების ადგილის მიმდებარედ. ავარიული უბნის დასაცავად და ეროზიული პროცესების შესაჩერებლად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული დაზიანებული გაბიონის კედლის აღდგენა და ორი ახალი 148 მეტრი და 184 მეტი სიგრძის გაბიონის კედლის მოწყობა. პირველი ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-4715390.54 Y-264580.88; X-4715390.25 Y-264591.87; X-4715242.60 Y-264576.95; X-4715242.30 Y-264587.95. მეორე ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების საწყისი და ბოლო წერტილი GPS კოორდინატებია: X-4715140.70 Y-264608.76; X-4715147.22 Y-264613.39; X-4715036.60 Y-264755.61; X-4715043.10 Y-264760.22. საპროექტო უბნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორება შეადგენს 270 მეტრს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გადაწყვეტილება გულისხმობს მდინარე ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, არსებული გაბიონის კედლის დანგრეული კედლის ფარგლებში ახალი ოთხდონიანი გაბიონის კედლის მოწყობას. გაბიონის კედლის მოწყობა, როგორც აღინიშნა გათვალისწინებულია არსებული გაბიონის კედლის გაგრძელებაზეც, მდინარის ქვედა ბიეფის მიმართულებით, არსებული ნაპირის გასწვრივ. 148 მეტრი სიგრძის საპროექტო გაბიონის სიმაღლე შეადგენს 4,3 მ-ს და ეწყობა 2,0X1,0X1,0 მ-იანი (444 ცალი) და 1,5X1,0X1,0 მ-იანი (148 ცალი) გაბიონის ყუთებისგან. 184 მეტრი სიგრძის საპროექტო გაბიონის კედლის სიმაღლე შეადგენს 2,3 მ-ს და შედგება 2,0X1,0X1,0 მ-იანი (276 ცალი) გაბიონის ყუთისგან. ორივე საპროექტო გაბიონის კედლების საძირკვლის გარეცხვისგან დასაცავად გაბიონის კედლები ეწყობა 6,0X2,0X0,3 მ-იან ლეიბებზე. გაბიონის ყუთები მოქსოვილი იქნება 2.7 მმ დიამეტრის მავთულით. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში არსებული ლიცენზირებული კარიერები.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ხობისწყლის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ხობისწყლის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 150 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 1340 კმ². სკრინინგის განცხადების თანახმად, 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 718 მ³/წმ-ს. მდ. ხობისწყლის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე საპროექტო უბანზე 2,73 მეტრის ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 5,50 მეტრი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება: ოთხი ავტოთვითმცლელი, ბულდოზერი, ამწე და ექსკავატორი. მოსამზადებელი სამუშაოები გულისხმობს ტექნიკის და საჭირო სამშენებლო მასალების ტერიტორიაზე მობილიზებას. ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები განლაგდება სამუშაო ტერიტორიაზე. პროექტის მცირე მასშტაბების გათვალისწინებით სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირდაცვითი სამუშაოების პირველ ეტაპზე განხორციელდება კალაპოტის გაჭრა ბულდოზერით და გადაადგილება დროებითი გრუნტის დამბის მოსაწყობად, რის შემდგომ მოეწყობა 177 მეტრი სიგრძის დროებითი ტექნოლოგიური გზა. აღნიშნული სამუშაოების შემდგომ მოხდება გაბიონის კედლების მოწყობა. კედლის უკან ასევე გათვალისწინებულია გეოტექსტილისა და ყრილის მოწყობა. სამუშაოების დასრულების შემდგომ, ტერიტორიები მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 3 თვე, ხოლო მშენებლობაზე დასაქმდება 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონარული ობიექტები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება

დროებითი ხასიათი, შესაბამისად მშენებლობის ეტაპი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისას ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას, ხმაურის და ვიბრაციის დონეები იქნება დაბალი. ამასთან, სამშენებლო ტექნიკის მიერ სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. სამუშაოების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის ბოლოს დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. სუფსისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებებიდან გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში. სამუშაოების დასრულების შემდგომ, სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საკვლევი უბნის ფარგლებში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (სგე): სგე 1 - კეჩი და ხრეში, კაჭრების ჩანართებით 10%-მდე, თიხნარის შემავსებლით, სუსტად ტენიანი. გავრცელებულია ჭალისზედა ტერასის ფარგლებში. სგე 2 - კენჭი (35-40%) და ხრეში (20-25%), კაჭრების შემცველობით (20-30%), ქვიშის შემავსებლით, ტენიანი და წყალგაჯერებული. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე პროექტის ფარგლებში დროებითი 177 მეტრამდე სიგრძის და 2 მეტრი სიგანის ტექნოლოგიური გზის

მოწყობამდე მოიხსნება 15 სმ სიმძლავრის 55 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობდება სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ მიწის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება დროებითი გზის დაშლის შემდეგ ტერიტორიის რეკულტივაციისათვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ტერიტორიაზე დაფიქსირებული მცენარეული საფარი ძირითადად წარმოდგენილია 8 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე მცენარეულობით. დაგეგმილი საქმიანობის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ხეების მოჭრა გათვალისწინებული არ არის. ამასთან, ანთროპოგენური დატვირთვის გამო და მცენარეული საფარის სიმწირის გამო საპროექტო არეალი ძალზედ ღარიბია ცხოველთა სახეობების მხრივ და აქ ფიქსირდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაბუმეში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ხობისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაეკვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო